295 N 63E
E295 N 63E

ორშაბათი, ივლისის 15 1918

სოციალისტ-ფედერალისტი

დასაბეჭდი მასალები მიიღებმ „სოციალ-ფედერალისტის“ რედაქციაში, ყოველ დღე, დილის 6—8-მდე. ხელმოწერილი წერილები, [illegible] ბეჭდავი მცირე წერილები და კორ[illegible] ხება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები. ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: ტფილისი, ლორის მელ ქოვის ქ № 1. „სოციალისტ ფედერალისტი“ სარედაქციო ფა[illegible] ტფილისში და ტფილისის გარ[illegible]დ შვიდი შაური ოკინის გზის სადგურებზე 9 შაური.

ფასი 3 კ.

ტფილისის სოციალ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გაზეთი № 2

ორშაბათი 15 ივლისი 1918 წ.

დაგვცინიან და გვეცილებიან

საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე თვე მიმდინარეობს. მეორე თვეა რაც საქართველო ჩამოსცილდა შემოჩენილ მეგობრებს და სცხოვრობს თავისთვის დამოუკიდებლად და მარტოდ.

მაგრამ აბა დახეთ რა ძნელად უხდება საქართველოს მთავრობას ცხოვრების მოწესრიგება. ყველა უცხოელი ლამის მტრად გადაგვეკიდოს, თითქმის ყველანი ალმაცერად გვიცქერიან. რუსეთისგან ჩამოშორებას ვერ ინელებენ. ზოგნი რუსები არიან და იმიტომ ასე სწყინთ ჩვენი მდიდარი ქვეყნის ხელიდან გაცურება. ის კი ავიწყდებათ, რომ ჩვენ არა ვართ რუსები, რომ ჩვენ ქართველები ვართ და გვსურს კიდეც საკუთარი ცხოვრება, ქართული კერის გაჩაღება. მაგრამ ამ ჩვენს სამართლიან წადილს რას მიჰხვდებიან მოხელეობაში გულ-მინაგვიანებული რუსთა გონება, რას მიჰხვდებიან ქარაფშუტა და მათრახზე აღზდილი რუსი [illegible]ბიკრობა?

[illegible]ან და განა ჩვენი თავისუფლებით [illegible]ბარეს სომხის მდიდარი ვაჭარი, [illegible]ართველთ ზურგზე უშნო მალაყებს [illegible]ომ გადადიოდა? განა ჩვენ თავი[illegible]უფლებას შეურიგდებიან ის სომ[illegible]ის უწინდელი პოლიტიკოსები, [illegible]რომელნიც ადგენდნენ-სომხების მი[illegible]წა-წყლის ფარულ გეგმებს, და ამ [illegible]სომხეთის საზღვრებში ექცეოდა [illegible]თქმის მთელი თბილისის მაზრა [illegible]ქალაქ თფილისით?

[illegible] ვერც ოსები შეურიგდნენ. და [illegible]ომ ვერ შეურიგდნენ ადვილი [illegible]ახსნელია. ოსები გაუნათლებლები [illegible]რიან, უვიცნი. ისინი ტაციობას [illegible]აჩვეულნი. ეხლაც ამ ტაციობით [illegible]ვესხმიან თავს, და რომ ჰკითხოთ [illegible] სურსთ, ვერც კი გიპასუხებენ. [illegible]ცვა და ტაციობა კი პო[illegible]ტიკოსობა არ არის. ეს არის [illegible]ზაკობა, და ოსებიც ავაზაკობის [illegible]ას უფრო ადგნან. ერთი სიტყვით [illegible]ველა აგვიმხედრდა. და თუ ერთ[illegible] იარაღით ხელში მოდიან ზუ[illegible]ში გვიმიზნებენ ტყვიას, მეორე[illegible]ნი აქ არიან, და დინჯად, აუჩქა[illegible]ებლად, ჩვენსავე სამშობლოში [illegible]ვითხრიან სამარეს, დაგვცინიან. [illegible]ერენ ვითომ მეცნიერულ გამო[illegible]ევებსაც, რომ საქართველოს [illegible]ესეთოდ ყოფნა არ შეუძლიანო [illegible] სხვა...

[illegible]ზოგი საქართველოს მცხოვრებთა [illegible]ინიკხვს ადარებს მოსკოვის და პე[illegible]ტერბურგის მცხოვრებთ, და ასკვ[illegible]ნის, რომ ამ თითო რუსების ქა[illegible]ლაქში უფრო მეტი ხალხია, [illegible]ვიდრე მთლად საქართველოშიო. [illegible]ედავთ როგორ დაგვცინიან. მაგ[illegible]რამ მთავრობა რა ზომებს იღებს [illegible]მათ წინააღმდეგ? ზომები კი უნდა მიიღოს და ზომები მეტად მკაცრი. მე შემიძლიან მოვისმინო როდესაც მე საქციელს მიწუნებენ, მაგრამ როდესაც ჩემს არსებობას დასცინიან, ამის მოთმენა არ შეიძლება. და ჩვენ დაგვცინიან ჯერ ისევ ძველ სერთუკ გაუხდელი რუსი შავრაზმელები. მეცნიერების კილოთიც რომ ასაბუთებენ საქართველოს რესპუბლიკის უდღეურობას. მაგრამ იმ გულ-პატარებს არ ესმით, რომ იმავე გამოანგარიშებას თუ გაჰყვებიან, რუსეთი უფრო მასხრულ მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე საქართველო. მაგრამ ამას რას დაინახავენ შუბლ-მოკლე რუსი მოხელეები?

ახლა სომხის „მხსნელების“ საქმიანობა ვნახოთ. ისინი თფილისს მისტირიან, თფილისის საკითხს სტამბოლში გადასწყვეტენო. არა სომხის ერის დამლუპელებო! თფილისი ჩვენია, და მას თქვენთ ისევე ვერ იგულებთ, როგორც პოლინეზიას და მელანეზიას კუნძულებს. რუსის კადეტებმაც ასევე ჩაგვიარაკეს, რა ვიცით ვის დარჩება თფილისიო. ჩვენ ვიცით ბ-ებო ესაც დარჩა, ჩვენ. თფილისი ჩვენი იყო და ჩვენვე უნდა დაქვრჩენოდა. თქვენი დაობებული სურვილები თქვენ გულშივე ჩაგლეპებათ, ხოლო თფილისი თქვენი კი არ იქნება არასოდეს.

ხომ თქვენ თვით ამბობდით, ქართველებს ნგრევის უნარი დიდი აქვთო. ერთი წუთით წარმოიდგინეთ რომ თბილისი ხელში ჩაგივარდათ. შემოვედ? არ გეშინიანთ ჩვენი ნგრევის? გეშინოდეთ. დაგანგრევთ და იმ ნანგრევებ შორის მოგსპობთ და გავანადგურებთ.

ჩვენო მტრებო! წადით, გაგვცილდით, დასტოვეთ ჩვენი საზღვრები. ნუ იყენებთ ბოროტად ჩვენს მოთმინებას. თუ განვრისხდით სისხლს მოვითხოვთ. წადით სანამ ადრეა ჩვენ თავ-დადება მხოლოდ მეგობრებისთვის ვიცით, რუსი იქნება თუ სხვა სულ ერთია. მტერს კი უმტრობთ სასტიკად და ავად.

მთავრობავ! მიაქციე ყველა მათ მეტი ყურადღება. საქართველოს მტრებს ნუ ათარეშებ ჩვენს მიწა-წყალზედ. თორემ შურის ძიება აზვავდება, და მაშინ ქართველის ხალხის სისასტიკეს საზღვარს ველარ დაუდებთ.

როგორ უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი?

ჩვენმა ცხოვრებამ წარმოშვა ანუ უკეთ ხელ ახლად წამოაყენა საკითხი მიწის შესახებ. ის საკითხი, რომლის გარშემო ასე გატაცებით იბრძოდნენ ჩვენი პარტიები, და რომლის ასე თუ ისე გადაჭრაზე არის დამოკიდებული თვით რევოლიუციის გამარჯვებაც და დამარცხება.

მაგრამ ამ დიდი საკითხის გარშემო ამტყდარი მოთქმა მოთქმა და წერა რომ გამართულდეს, ეს იქნება ერთი დიდი ნაბიჯი, რევოლიუციის და საქართველოს დასაღუპვად გადადგმული.

მაგრამ წარმოიდგინეთ ამ მიწის შესახებ ისე დაბეჯითებით სწერს რუსული ჩვენი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბორბა“, და „ერთობა“ რომ სოც. დემ. წრეებში ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი ყოფილა. და აკი სწერს კიდეც:

„პოლიტიკურ წრეებში, საკითხი მიწის კერძო საკუთრებად გადაცემის შესახებ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს“.

მაგრამ ჯერ ერთი ვის ჰგულისხმობს რუსული გაზეთი და ვის ეძახის „პოლიტიკურ წრეებს“? თუ მარტო სოც.-დემოკრატულ ფრაქციას, დიდად, სცდება. სოც.-ფედერალისტებს და სოც.-რევოლიუციონერებს ეს საკითხი ასე არ გადაწყვეტნიათ. რაც შეეხება ნაციონალ.-დემოკრატებს, ეს ხომ იმათი ძველი ოცნებაა გადაყრუებულ თავადთა და მოხელეთა მიერ [illegible] ხოლო აზრ-მოკლე ახალგაზრდათა მიერ შეყვარებული? და ისინი არც პოლიტიკურ წრეებად ჩაითვლებიან.

მაგრამ რაშია საქმე? სოც.-დემოკრატები სწერენ, რომ ჩვენ მიწას გლეხობას ვაძლევთო, მაგრამ ეს კი არ არის საინტერესო, საინტერესოა ის, თუ რა სახით აძლევ? — „კაშხალეიდეოთ“. აი ის ფორმა რომლსაც იღებენ ისინი, სოც-დემოკრატები, და რომელსაც ვეწინააღმდეგებით ჩვენ, სოციალ-ფედერალისტები. და აქ თავის და თავად თავს იჩენს ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენი პარტიის და სოციალ-დემოკრატების შორის.

სოციალ-დემოკრატებისთვის მიწის საკითხი არა დროს არ ყოფილა და არც არის პარტიული რამ ქვაკუთხედი. იყო დრო, რომ ეს საკითხი მათთვის არ არსებობდა. მხოლოდ შემდეგ დრო და გარემოების მიხედვით მიაქციეს ყურადღება და ასევე დროს მიხედვით სწყვეტენ საკითხს დღესაც. ეს მათი უფლებაა. მაგრამ ჩვენ სოციალ-ფედერალისტები ამ საკითხს სხვა თვალით უცქერი. მიწის საკითხი, ჩვენი პროგრამის ქვა-კუთხედია. ჩვენ გლეხებს მშრომელთა კლასს ვაკუთნებთ, რომლის საკეთილ-დღეოთ ვიბრძოდით, ვიბრძვით და ვიბრძოლებთ. მიწის საკითხი ჩვენთვის ყოველივის არსებობდა, და ამ კითხვაზე ვენ გვქონდა და გვაქვს გადაჭრილი პასუხი. “მიწა მიწის მუშას“ — ესასყიდლოდ. მიწა იმას ეკუთვნის, ვინც მასზე შრომობს. მიწა ყველასია, ვინც კი საკუთარი მარჯვენით ამუშავებს მას. არავის არა აქს უფლება გლეხს მიწა მიჰყიდოს ისევე, როგორც ვერ მიჰყიდე ჰაერს, წყალს, მზეს. ეს ჩვენ ღრმადა გვწამს, ამისთვის ვიბრძოდიდ და ვიბრძოლებთ კიდეც სანამ მიწას მიწის მუშა არ დაეპატრონება, სანამ არ მოხდება მიწის ე. წ. სოციალიზაცია. და თუმც სოციალ-დემოკრატებთან ერთად ვართ დღეს, მაგრამ ამ საკითხში კი ვერ გავყვებით. ჩვენ მთელი ჩვენი არსებით ვეწინააღმდეგებით ყიდვა—გაყიდვას, რადგან ეს წესები ისევ ბურჟუაზიას გააძლიერებს და ჩვენი გლეხის დუხჭირ მდგომარეობს კი ვერ უშველის. თანაც როგორი მდგომარეობაა? მიწები თავადებს, ეკლესიას, და სხვა. ჩამოერთვათ უფასოდ, და გლეხებს კი უნდა მიჰყიდოთ! იტყვით სახელმწიფოს სასარგებლოდ წავა ეგ ფულიო, მაგრამ ეგრე არ შეხედავს ჩვენი ხალხი, და თქვენ ამ არეულობის ჩაქრობის მაგიერ უფრო ააღელვებთ და გააევებთ. სახელმწიფოსთვის საჭირო თანხა სხვა გზით მოვძებნოთ, მიწა კი უნდა მიეცეს მიწის მუშას ესასყიდლოდ და უდავიდარაბოდ. თუ ეს ასე არ გადაწყდა. ჩვენ, სოც.-ფედერალისტები თქვენ, სოც.-დემოკრატებს მხარს ვერ დაგიჭერთ. ჩვენი სიტყვაა: მიწა მიწის მუშას.

ვ. ბ—ი.

მშრომელთა მიმართ!

ამხანაგნო სოფლისა და ქალაქის მუშებო! ამ წერილის დამწერი არამც თუ მდგომარეობით, თვით ჩამომავლობით მუშა ვარ. თავის ქება არ მინდა მაგრამ უნდა მოგახსენოთ რომ მშრომელთა საკეთილ დღეოდ მოძრაობა საქართველში დაიწყო თუ არა, ვიტყვი ჩვენი კლასიური კეთილდღეობისთვის ვიბრძვი პატიოსან გზით. მას შემდეგ, რაც თვივ ოდნავ შევისწავლე, ბევრი ვიხე, შიმშილი და შეურაცხოფა მერგო წილად, ამ ჩემს ბუნებრივ მიმართულებისთვის, მშრომელთა კეთილდღეობას უზრუნველსაყოფად. მე წინად ბოლშევიკებში ვმუშაობდი, ვიცი ბოლშევიკების მრწამსი. ამხანაგო მშრომელნო! ნამდვილი ბოლშევიკებიც ჩვენი ამხანაგები არიან, ისინიც მშრომელ ხალხზე ზრუნავენ. მაგრამ სტყუვდებით ამვანაგებო, როცა ვერ არჩევთ ნანდვილ ბოლშევიკს ყალბ ბოლშევიკისგან, და ამიტომ მე როგორც მუშამ, შეიძლება დიდი მხატრული ნიჭით ვერ დაგიხატოთ ის სურათი რაც ჩვენს ირგვლივ შავი დრუბელივით იკრიბება, მაგრამ მინდა მოგახსენოთ რომ ის ნამდვილი ბოლშევიკთა დეკრეტები (კანონი) რაც გამოდიოდა რუსეთში, ჩვენში, ჩვენი მთავრობის მიერ უფრო მოფიქრებით გამოცემულია ვიდრე თვით რუსეთში. ისე რომ თვით ნამდვილი ბოლშევიკები ახალს არას იტყვიან. მაგრამ ჩვენში უფრო სხვა წყლის ბოლშევიკები არიან. ის ბოლშევიკები, რომლებმაც ალაპარაკეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეები, აჯანყების სახით. მაგრამ ეს გამოწვეულია არა როგორც ნამდვილი ბუნებრივი უკმაყოფილება, არამედ როგორც ხელოვნური. რაშია საქმე? საქმე ის არის რომ მე როგორც მოგახსენეთ ყველა ის კანონი რომელიც რუსეთშია, ჩვენში გამოცემული მაგრამ ჩვენებურ ბოლშევიკებს ერთი რამ აქვთ მხოლოდ საბრძოლველი. არა ის, რომ ჩვენში იგივე კანონები შემოიღონ რაც რუსეთშია, არამედ ის რომ ჩვენ უეჭველათ რუსეთის მონები ვიყოთ. აი აქეთ არის ის ჩვენებური ბოლშევიკებს ხელი მიმართული. მაგრამ სასარგებლოა მკითხველო? არა და არა! ჩვენი ყოველივე მისწრაფება უნდა იყოს არა მონობისაკენ, არამედ თავისუფლებისაკენ. დღევანდელ რუსეთთან შეერთება ჩვენი დაღუპვა არის, რადგან თვით უფსკრულში ჩაკიდებული რუსეთი, ხელს ჩაავლებს ჩვენს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას და თან გადიტანს დასაღუპად. ამხანაგებო! ჩვენში წარმოებული ბოლშევიზმი არის ხულიგანური ბოლშევიზმი. იგი რომ ნამდვილი იყოს, ჩვენს თავისუფლებას გუნდრუკს დაუკმეედა. მაგრამ როცა იგი ამ ჩვენს თავისუფლებას ებრძვის, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვენში პატიოსან ბოლშევიზმის ადგილს იჭერს ხელოვნური და უსინიდისო ბოლშევიზმი, ჩვენი მტრების მიერ შექმნილი რომელიც ბუნებრივად ვერ ეგუება ჩვენს თავისუფლებას. რუსის ყოფილი „ჩინოვნიკები“ სომხის ბურჟუაზია, რომელიც ჩვენ მუდამ სისხლსა გვწოვდა, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, აგრედვე ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში მათ კარგად იციან, რომ ამიერიდან თვით განვითარებაზე შემდგარი საქართველო ძველებური, მათთვის საწველი წროხა არ იქნება, და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობენ ჩვენი ეროვნული თავისუფლება მოსპონ, ჩვენივე საშუალებით. ისინი სარგებლობენ ჩვენი უვიცობით, და ჩვენს ქართველ გლეხებს ჩვენი საქართველოს მთავრობის წინამდამხედრებენ. გირჩევთ მუშებო ერთს: ჩვენ ჯერ ხელი უნდა მოვკიდოთ ჩვენი განთავისუფლების საკითხს, და მერმე ეს როცა განმტკიცდება, ადვილად შევძლებთ ჩვენ შინაურ კლასიურ საქმის მოგვარებას. ნუ ავყვებით გარეშე არა მკითნე მოკეთეებს და „ჩვენ თავი ჩვენვე გვმყუდნოდნოს“. ჩვენში მშრომელ ხალხის ინტერესებისთვის აუცილებელი საჭიროებაა ერთობა. და თუ ჩვენში ეხლა ერთობა დაირღვა, ჩვენ ყველანი დავილუპებით, და მტერსაც ეს უნდა. გონიერებაში გისურვებთ გამარჯვებას.

გ. ს—ლი.

საუბარი მიწის მუშასთან

ძვირფასო ძმაო! თუ ქვეყნად შრომა პატივსაცემია; რადგან მთელი ქვეყანა მშრომელთა ხელით სცოცხლობს და სცხოვრობს, ამ პატივისა და დიდების ღირსი უპირველესათ შენ უნდა იყო, რადგამ შენ ებრძვი ძუნწ და უგულო მიწას, რომელიც ერთ ლუკმა პურს არ იძლევა, ისე, თუ მასში შენი სისხლი და ოფლი არ ურევია. მაგრამ შენ ისე უხვათ აპოხნებ შენის ოფლით ცივს მიწას, რომ შენ მას ართმევ იმდენ საკვებს რომლითაც ასაზრდოებ მთელს ქვეყანას. მხოლოდ თუ ბუნება განრისხდა და მიწამ იმდენი პური არ მოგცა რამდენიც ესაჭიროება ქვეყანას, მაშინ სიმშილი პირველად შენს კარებზე წამოიჩოქებს- შენ ზრდი და აშენებ ძროხას, ცხვარს, ღორს, ქათამს და მრავალ სხვა პირუტყვს; შენ ამზადებ ერბოს, ყველს, კარაქს, მაგრამ ყველა ამას მიეზიდებიან მდიდრებს და შენ კი თვეში ერთხელაც ვერ ეღირსები სველს ლუკმას. შენ იმზადებ აბრეშუმს, მატყლს, ბამბას, რომლითაც იქსოვება საუკვეთესო ტანსაცმელი და რომლითაც ამშვენებენ მხრებს მუქთახორანი, მაგრამ შენკი ყოველთვის ძონძ—კონკებში ხარ, გახვევული. დიახ უშენოდ ქვეყანა ვერ იცოცხლებს ერთი წუთითაც რომ შეაჩერო შენი მარჯვენა. მთელი ქვეყანა სიმშილით ამოწყდება. მაგრამ შენ მაინც ბედი არ გწყალობს და რაც ქვეყანაზე უბედურებაა, ყველა შენ გაწვება მთელი სიმძიმით. თუმც ცოტა განსხვავებით, მაგრამ შენსავ მდგომარეობაშია ქალაქის მუშა. ისიც მუშაობს შავს ჯურღმულში, მაღაროებში, ფაბრიკა-ქარხნებში, ამზადებს ქვეყნის სიმდიდრეს, თითონ კი ღარიბია და ღატაკი. მუდამ ფერმკრთალი სახე, ჩამომხმარი, სიმშილ-სიტიტვლეში ატარებს თავის სიცოცხლეს. მაგრამ ქალაქის მუშას შენთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა აქვს.

ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ იგინი შეჯგუფულნი ათობით, ასობით და ბევრგან ათასობითაც მუშაობენ ერთად. ეს გარემოება მათ საშუალებას აძლევს ერთად შეკავშირებისას და ბრძოლისას, მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ქალაქის მუშის ცხოვრების პირობები სხვაფრივაც მეტად სადა არის და მას უადვილებს ქვეყნის უკეთესმართობის გამომდინარე მიზეზის სისწორით დანახვას, და იგიც ადვილად ამჩნევს სამართლიანობის და თანასწორობის მისახწევ სწორ გზას.

მიტომაც ჩვენი ცხოვრების მკვლევართა შორის ქალაქის მუშებმა უკვე დაიმსახურეს დიდება და პატივი, როგორც შეგნებულმა მებრძოლებმა და სიმართლის და თანასწორობის მედგარმა მაძიებლებმა.

ძვირფასო მეგობარო! სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რო მიწის მუშას ჯერ ასეთი პატივი და სახელი არსად არ დაუმსახურებია. ამის მიზეზი ის არის, რომ მიწის მუშის მდგომარეობა მეტად რთულია და დახლართული. ამიტომ უძნელდება მას ჩვენი ცხოვრების ავკარგიანობის სისწორით გაგება. მან იცის, რომ იტანჯება, სჩაგრავენ, ვერ ცხოვრობს, მაგრამ არ იცის რა-ჰქნას, რა გზას დაადგეს, რითი დაახწიოს ამ დუხჭირ მდგომარეობას თავი. სოფლის მუშა უცოდინარია, და ამ უცოდინაროობის გამო ბევრ შემთხვევაში მას ცუდი სამსახური გაუწევნია თავისუფლებისათვის და მის წინააღმდეგ გაულაშქრია. ამისგამო ბევრი მეცნიერი მიწის მუშას რეაქციონერს უწოდებს ესე იგი თავისუფლების მოწინააღმდეგეს.

თუმც ეს ასე იყო უცხო ქვეყნებში, მაგრამ ჩვენში, იმთავიდანვე როდესაც ქართველმა ქალაქის მუშამ შეიგნო ჩვენი ცხოვრების უკეთესმართობა, და მას ომი გამოუცხადა, მაშინათვე ძაფი გაბა სოფლის მუშასთან და დღემდი ქალაქისა და სოფლის მუშა ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდნენ უკეთესმართ ცხოვრების ეკლიან გზაზე. და ეს თანხმობა ამ უკანასკნელ დრომდე არსად არ დარღვეულა. ქართველ ქალაქის მუშებს ამ თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში ისეთი ბევრი შრომა აქვთ გაწეული სოფლის მუშებში, რომ ჩვენ არ გვეგონა, თუ თანხმობა ქართველ ქალაქის და სოფლის მუშისა ოდესმე დაირღვევოდა. მით უმეტეს ეხლა, როდესაც ეს თანხმობა უფრო მეტათ არის საჭირო. სამწუხაროდ ზოგმა სოფლებმა ეს თანხმობა უკვე დაარღვიეს და მტრულად უყურებენ ქალაქის მუშებს. თუ რა მიზეზები იწვევს სოფლის და ქალაქის მუშების უთანხმოებას, ამაზე საუბარი გავაგძელოთ შემდეგ.

მუშა ვანო ბა—ლი.

ეროგა და ჩვენი პარტია

ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტებს მიზნად გვაქვს დასახული სოციალიზმი. ეს ჩვენი საბოლოო მიზანია. მანამდე კი, ჩვენ, როგორც მშრომელი ხალხის დამცველნი, მხარს უჭერთ ყოველივე იმას, რას მიაახლოვებს ჩვენ ხალხს სოციალიზმისაკენ, რაც შეუმსუბუქებს ცხოვრების ტვირთს. აი უკვე დაიწყო საერობო არჩევნები. ჩვენც, როგორც პარტია ვიღებთ მონაწილეობას ამ არჩევნებში, მაგრამ რა გვსურს ჩვენ, რა გვწადიან? ან და რას უნდა ემსახურებოდეს ერობა ჩვენი აზრით?

1.

ყოველი ღონის-ძიებით უნდა ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობას, რომ რაც შეიძლება ნაკლები ძალა დაიხარჯოს და მეტი მოსავალი მოსავალი მიეცეს ჩვენს გლეხობას.

უნდა ეცადოს კოოპერატივთა გაძლიერებას, და თანაც ამ კოოპერატივთა მეთვალყურე უნდა იყვეს, რომ შიგ ხალხის ნამდვილი ერთგულები და მეგობრები მოექცნენ.

ერობა უნდა ეცადოს რომ სოფელს დაუახლოვონ აგრონომები, ანუ ხვნათესვის, მებაღეობის, მევენახეობის და სხ... მცოდნე პირნი. რომელნიც ჩვენ ხალხს შეასწავლიან იმ წესებს, რა წესებითაც აწარმოებენ მეურნეობას გლეხები განათლებულ ქვეყნებში. ერობამ უნდა მოაწყოს საცდელი მინდვრები, სკოლები, სადაც ხალხს შეასწავლიან მეღვინეობასს, მერძეობას, საქონლის მოშენებას და სხ... ამასთანავე უნდა მოასყოს დამხმარე საზოგადოებები, რომლებიც გლეხებს დაეხმარებიან ფულით, საქონლ თ, სამეურნეო იარაღით და სხ.

2.

ერობამ უნდა მოაწყოს როგორც ყიდვა ისე გაყიდვა საქონლისა, რომ ჩვენ გლეხს საშუალება მიეცეს თავი დაახწიოს ჩარჩ-ვაჭრების გაუმაძღრობას.

ერობამ უნდა მოაწყოს წყლის საქმეც. მაგ. ურწყავ მიწების მორწყვა, ჭაობების ამოშრობა, ხევების გადაგდება, რომ წლის ნაამაგდარი ნიადაგრმა აღარ წაღეკოს.

3.

ერობამ უნდა მოაწყოს ხალხისთვის უფასო საექიმო დახმარება; ასეთივე დახმარება უნდა მოაწყოს საქონლისთვისაც. უნდა ეცადოს გააუმჯობესოს სოფლის მცხოვრებთა სადგომი ბინები, ააშენოს სოფლებში საავათმყოფოები და ხხვ.

4.

ერობის მიზანი უნდა იყვეს მოაწყოს უფასო და სავალდებულო სწავლა განათლება, ისე კი რომ ეს სწავლა განათლება, ისე კი რომ ეს სწავლა განათლება უნდა ეგუებოდეს ადგილობრივ პირობებს. უნოა მოესყოს სამკითხველოები, დიოებისთვის საკვირაო სკოლები და სხვა.

5.

ერობა მოვალე უნდა იყვეს თვალყური ადევნოს უმუშევრებს და ღარიბებს, როგორც, მაგალითად მოხუცებულებს, ქვრივებს, ობლებს და დასახიჩრებულებს.

6.

ერობა მოვალეა გაიყვანოს ხიდები, არხები, გზები, ტელეფონი, ელექტრონის განათება, ააშენოს ელექტრონის წისქვილები და სხ. გამოიყენოს ქარისა და წყლის ხალა, სადაც კი ეს შესაძლებელია.

ერობამ უნდა ყოველი მხრივ უზრუნველ ჰყოს ჩვენი მშრომელი ხალხი რომ ან ცეცხლმა არ აზარალოს, ან მოვარდნილმა წყალმა და სხვა გვარ უბედურებამ. თუ მოხდა კი, მაშინ აუნაზღაურეს ზარალი. უნდა მოაწყოს დამცველი რაზმი, ქურდ ავაზაკთა ასალაგმავად.

ერობამ უნდა დახმარება გაუწიოს სოფელს ახალ მოსახლეობის შექმნაში უნდა გეგმაზე მოუწყოს სახლი, კარი, ბაღი, ვენახი და სხ.. რომ ეხლა რომ მაინც დავახწიოთ თავი იმ დუხჭირა მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით.

ასეთია დაახლოვებით ჩვენი პარტიის, სოციალისტ-ფედერალისტების მიზანი. სოფლის მუშებო! თუ გსურთ რომ თქვენი ცხოვრების პირობები გაუმჯობესდეს, დაგვიახლოვდით. მოდით ჩვენთან, და შე რთებული ძალ-ღონით მოვაწყოთ ჩვენი ახალი ცხოვრება. თქვენ ხომ ჯერ ჩვენი გულის ნადები ვერ გაგიგიათ. ბევრმა არამზადამ შეგიშალათ ხელი, რომ ყური დაგეგდოთ ჩვენთვის და თვით აგერჩიათ, თუ ვინ არის თქვენი ნამდვილი მეგობარი და მოკეთე. ეხლა კი, როდესაც ჩვენი პარტია თავის გამარჯვებას დღესასწაულობს, ეხლა ალბად თქვენც მიხვდებით, თუ ვინ გიხვევდათ თვალებს, ვინ გამხედრებდათ ჩვენს წინააღმდეგ, და მოხვალთ ჩვენთან, რომ ჩვენც გამოგცადოთ და დარწმუნდეთ, რომ ჩვენი პარტია ჭარის სოფლის მუშებისთვის სწორედ ზედ-გამოჭრილი პარტია ჩვენ ყურს არ გამოგიჭედავთ ბევრი ლაპარაკით, ბევრი დაპირებით. ჩვენ საქმე გვიყვარს. იქნებით ჩვენთან—დაგიმტკიცებთ ჩვენ საქმიანობს, არ იქნებით და ინანებთ ისევე, როგორც დღეს ინანიებთ შარშანდელ შეცდომებს.

დაიხსომე ეს სოფლელო ძმობილო და საერობო არჩევნებში ისე მიიღე მონაწილეობა.

ვ. ჯაჯაძე

ეროგის შემოღება

საერობო არჩევნები ხართიჭალის რაიონში.

ტფ. მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებს მაზრაში საერობო არჩევნებს, ამიერკავკასიის ერობის დებულ. დროებით დადგ. მე 71 სტატ. ძალით ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ სართიჭალის ოლქიდან შემოვიდა ერთი შეერთებული სია სოც.-ფედერალისტთა და სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიებისა. კანდიდატები შემდეგნი არიან:

1. ასათიანი ლევან გიორგის ძე, ფეილი.
2. ჭიაბრიშვილი ანდრო, ეროვნული საბჭოს წევრი.
3. ბესელიძე იოსები, ტფ. ქალაქის გიმგეობის წევრი.
4. ჯიდარი გიორგი დავითის ძე, სართიჭალი რაიონის კომისარი.
5. ბერძენიშვილი მაქსიმე დავითის ძე (ს.-ფ.), ფილოლოგი.
6. კანჯარაშვილი ვასილი, საუბნო საადგილ მამულო კ—ის თავმჯ.
7. არუთიუნოვი ალექსანდრე ავეტის ძე, საგარეჯოს აღმასრ. კ—ის წევრი.
8. ბილანოვი არჩილ გიორგის ძე (ს.-ფ.), ინჟინერი.
9. კანდელაკი მიხეილ ნიკოლოზის ძე, აგრონომი.
10. თევდორაშვილი გიორგი, მემანქანე.
11. კანდელაკი გიორგი კოოპერატორი.
12. ჩილანოვი ვალერიანე, მუშა.
13. დ ფქვიაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე (ს. ფ.), მეურნე
14. სიროვატკინი პავლე, მწერალი.
15 გასანოვი ფაშა, მეურნე.
16. ქურხული ნიკოლოზ იოსების ძე (ს. ფ), რკ. გზის მუშა.
17 ჯიდაური მიხეილ სოლომონის ძე, მეურნე.
18. მანველიძე ილია, (ს.-ფ.), მეურნე
19. ქურდივან. ძე იოსებ სოლომონის ძე (ს.-ფ.), მეურნე.
20. გძელაძე ნიკოლოზი, მეურნე.
21. მეკოშკიშვილი ალექსანდრე, მეურნე.
22. გურჯანაძე ვასილ ივანეს ძე, მეურნე.
23. ბერძენიშვილი გიორგი, მეურნე.
24. ქურხიშვილი სანდრო იოსების ძე მუშა.

საჩხერის გარეშემო

შინაური უწესობა საერთო სენად გადაიქცა. ფრონტები თანდათან მრავლდება. ის სისხლი რომელიც უნდა დაღვრილიყო გარეშე მტერთან ბრძოლაში ჩვენი მიწა-წყალს შენარჩუნებაში იღვრება ჩვენივე ხალხის დაწყნარებაში ეს ორი კვირაა რაც შინაურ ფრონტებს კიდევ მიემატა საჩხერის ფრონტი. საქმის მდგომარეობა შემდეგში იყო: გავრცელდა ხმა რომ საჩხერეში მოვიდნენ „ვარდიელი“ იარაღის მოსაკრებადო. მოელი გლეხობა ფეხზე ადგა მათ საწინააღმდეგოთ მათ მიემხროთ ოსობაც რომლებთანაც ხობა ადრევე აწყობდა ფარულ კრებებსა დახმარების სათხოვათ, ვინც დაუკვირდებოდა, ადვილად შეატყობდა რომ გლეხობა შერთებული ოსებთან აპირობდა გამოსვლას თავად-აზნაურების საწინააღმდეგოთ რადგანაც ხმა იყო გავრცელებული, რო თავად აზნაურობის აქვს დაქირავებული რაზმი „ვარდიელები“ რომ აღადგინონ ბატონ-ყმობაო. გლეხობა ფიცხლავ შეიკრიბა რომ გაეწია სასტიკი წინააღმდეგობა ქალი და კაცი, მოხუცი და ყმაწვილი სულ ფეხზედ დადგა მოხუცი და ქალებს ხარჯი მიჰქონდათ მეომრებისთვის გაშალეს წრე საჩხერეს მახლობლათ და თან და თან უახლოვდებოდენ, გვარდიელების ბანაკს რომელთაც დაებანაკებიათ ეკლესიის გალავანში, რიცხვით სამოცდაათ კაცს გაჩეჩილაძის მეთაურობით. შეიარაღებულ ბრბო ბოლოდნელად დაეცა თავს გვარდიელებს. გვარდიელებმა ასტეს სროლა ტყვიის მფქრეველებიდგან, მაგრამ მოზღვავებულ ბრბოს მიერ ძლეულ იქნენ და გაიქცენ. მეორე ნაწილმა კი სადაც უმრავლესობა ოსობა იყო ძოდინახის-ციხე დაიკავა.— მოკლეს ერთი გვარდიელ და დასჭრეს სამი, სხვათა შორის დიდი სიმამაცე გამიჩინა აფიცერმა ლურ სმანიშვილმა, რომელმაც მოასწრო ტყვიისფრქვეველის გამოტაცება.

დაბრუნებულ ხალხის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდათ როცა ვეკითხებოდი ჩემივე სოფლის გლეხებს საქმის ვითარებას, იგი აღფრთოვანებით მიპასუხებდნენ „გაიმარჯვა ბატონო ჩვენმა საცოდავმა ხალხმა, აგვლერ სასტიკ და გა[illegible] დენეთ „გვარდიელებ[illegible] აზნაურობის დაქირავებული ჯარ[illegible] ბატონ-ყმობის ასაღგენათ“ ვ[illegible] ველგვარი ფიცი და გან[illegible] იმის შესახებ რომ ეს ჯარი მთავ[illegible] რობის მიერ არის [illegible]მოგზავნილ[illegible] და არავითარი ბატონ-ყმობა ა[illegible] სურთ ფუჭი იყო. მხოლოდ ზოგ[illegible] ერთნი ამ აღფრთოვანებულ[illegible] ში[illegible] ბურუსით მოსავდენ, „გავიმარჯვეთ მაგრამ ვაი თუ ძვირად დაგვიჯდეს ეს გამარჯვებაო. მეორე ღღეს არტილერით ტყვიისმფრქვეველებით შეარაღებული მთავრობა ჯარი ჩ[illegible] ადგა დარკვეთს და იქიდგან დაუშინა ზარბაზანი პირველ გა[illegible] ლაზე ხალხი ძალიან შეშინდა. [illegible] ღე არტილერიამ მოდინახის ც[illegible] დაუშინა სადაც დაბანაკებულ[illegible] ვნენ ოსები. და იგინი განდ[illegible] საჩხერეს დაკავების შემდეგ გ[illegible] ხობა დაფათურდა იარაღის ჩას[illegible] რებლად. მხოლოდ ნაწილი შ[illegible] რაღებულები, ოსებთან შერთე[illegible] ლნი უკან იხევდენ მთებისკენ [illegible] იქ გამაგრდენ. ბრძოლა სასტ[illegible] სწარმოებს ჯარი უშენს ზარბ[illegible] მაგრამ ოსები მთებს აფასებს თ[illegible] პარტიზანულ ბრძოლას ეწევა, [illegible] მათი განდევნა ძლიერ ძნელი ხ[illegible] ვა ჯარმა დაატუსაღა რამოდენ[illegible] მოთავეები. დაპატიმრებულე[illegible] აღმოჩნდა ქართლიდგან ს. წ[illegible] ვლევიდგან გადასული გლეხო[illegible] რომელთაც დაკითხვის დროს გა[illegible] ცხადეს რომ ჩვენ მოტყუებით, [illegible] მოგვიყვანეს იმერეთში სამუშაოდ [illegible] დაპატიმრებულთ ხვრეტავენ [illegible] ხვრიტეს ხუთი ოსი.

საჭიროა კიდევ ძალების მიმა[illegible] აა, რომ შემოსეული ოსობა [illegible] დევნოს სოფლებიდგან რომელ[illegible] ცარცვა-გლეჯით ავიწროებენ [illegible] დობიან მცხოვრებ[illegible]

იქაური.

კანონი

(მიღებული საქართველოს ეროვნულ[illegible] საბჭოს მიერ).

1.

1918 წლის პურისა და თივის [illegible] სავლის სახელმწიფოს კუთვნილებ[illegible] გამოცხადებისა ტფილისის მაზრ[illegible] ყარაიაზის ნაწილის, სოფლებში; მი[illegible] ილოვკასა, ტატიანოვკასა, ვოეიკო[illegible] სა და ვასილიევკაში.

1. გამოცხადდეს საქართველოს [illegible] მოკრატიული რესპუბლიკის სახელ[illegible] ფო საკუთრებად 1918 წლის პურ[illegible] და თივის მოსავალი ტფილისის [illegible] რის, ყარაიაზის ნაწილის, შემდეგ სო[illegible] ლების: მიხაილოვკის, ტატიანოვ[illegible] ვოეიკოვოს და ვასილიევკის.

2. მიენდოს მიწათ-მოქმედების [illegible] ნისტრს დაარსოს კომისია ხსენებ[illegible] ადგილებში პურისა და თივის მო[illegible] ლის მოსაწევად. ამ კომისიის წევ[illegible] რაოდენობის განსაზღვრა და მათი [illegible] ნიშვნა მიენდოს იმავე მინისტრს. კ[illegible] სია ექვემდებარება მიწათმოქმედ[illegible] მინისტრს, რომელიც მისცემს ინს[illegible] ქციას.

3. თუ ხსენებულ ადგილებშ[illegible] და თივის მოსავალს მოიწევენ [illegible] საყანეების ამ ჟამად გაქცეული [illegible] ნნი, მიწათმოქმედების [illegible] უტოვებს მათ მათთვის სა[illegible] და თივას, ხოლო დანარჩენ[illegible] განსაზღვრულ სასყიდელს [illegible] გამოკლებით, რომელიც გ[illegible] ლობრივ მუსულმან მცხოვრ[illegible] ნებისა და სათიბების მოსარწყ[illegible] შესანახად.

4) თუ იმ ადგილებში პური [illegible] მოწეული იქნება სახელწიფოს [illegible] ლებით, ამ შემთხვევაში ყანებ[illegible] სათიბების პატრონთ და აგრეთ[illegible] ლობრივ მკვიდრ მუსულმან მცხ[illegible] აუნაზღაუდებათ ის ხარჯები, [illegible]

ბიც გისწიეს დახვნასა, დათესვასა, მორწყვასა და შენახვისათვის. შემოსულ მოსავლიდან ადგილობრივ მკვიდრ მუსულმან მცხოვრებთ სამინისტრთ დაუტოვებს სასყიდლათ მათთვის საჭირო პურსა და თივას. დანარჩენი მოსავლი ნი გადადის მიწათ მოქმედების მინისტრის განკარგულებაში.

5) აღნიშნულ საქმისათვის და კომისიის ხარჯებისათვის მიეცეს მიწათ მოქმედების მინისტრს ავანსად ოთხმოცდა ათი ათასი მანეთი სახელმწიფო ხაზინიდან ათი მილიონის ფონდიდან. უფლება მიეცეს იმნვე მინისტრს საინტენდანტოდან და სათივო ორგანიზაციიდან გამოიტანოს ორას მუშისათვის საჭირო პური, შაქარი, ჩაი და სათიბი და სხვა მანქანები.

6) ეს კანონი შედის ძალაში დღიდან იმისი მიღებისა საქართველოს საბჭოს მიერ.

5 ივლისი 1918 წ.

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ, ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ!

ბევრი მოძმე ასრულებს დღეს იუდის როლს, იუდასებრ იქცევა გვლალატობს! და ირგვლივ გაისმის საზარელი ხმა: „რევოლიუცია მარცხდება!..“ მარცხდება რევოლიუცია, აი ის ორი სიტყვა, რომელიც ყოველი მუშასა და მუშა მშრომელის მესაიდუმლის გულში იწვევს დამაღონებელსა და მწველ გრძნობებს, რომელიც ყოველ ჭეშმარიტ დემოკრატს აუცილებლად აღუძრავს გულის სიღრმეში სინანულსა და მწუხარებას!.. მაგრამ არის მცირე ნაწილი ხალხისა, რომელიც სიხარულით, ხარხარით გაძახის: „მარცხდება რევოლიუციაო“ დეე იცოდენ ამ უმგზავსთა მაჩანჩალებმა, „მშრომელი მაჯის წურბელებმა, რომ არ კვდება მშრომელთა სიდიადე, არ კვდება მშრომელთა ძალა, და ნუ დაგვჩხავიან იგრე უშნოდ. დადუმდნენ, თ[illegible] ვენში სისასტიკეს საზღვარი არ ექნება!.. ჩვენ უფრო ჩვენ ამხანაგთა უმრავლესობის მოუმზადებლობის, შეუგნებლობის გვეშინია, რომ მათ არ ჩასცენ სასტიკი ლახვარი, არ შეგვიბღალონ რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლება! მათი ნაწილი უკვე გაჰყვა მოღალატეებს, მაცდურებს, შავრაზმელებს.! აი, ასე მოიქცენ ჩვენი ამხანაგები, ჩვენი შეუგნებელი ძმები, მაგრამ... არ იქნება არ ეპატიო, რადგან **არ ციან რას სჩადიან!** მომავალი, მხოლოდ მომავალი და ჩვენი დაუღალავი მუშაობა უნდა გვამხნევებდეს დღეს! ყოველთვის, ყოველგან და ყველასთან საჭიროა: პროპოგანდა, დარაზმვა და შეგნება! არ დავივიწყოთ, გვახსოვდეს, რომ ჩვენ უნდა გვიხსნას ჩვენმა შეგნებამ!..

ნუ შეგვაშინებს, ის რომ დღეს მტრებმა თავი წამოყვეს; რევოლიუცია მარცხდებაო. ტყუილია, და ჩვენც მხნედ გავიმეოროთ მტრის ყურ-საწვდენად: **რევოლიუცია, მარცხდება?**

გაუმარჯოს რევოლიუციას!!

რაჰველი მუშა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ

საქართველოში ოთხი პოლიტიკური პარტია არსებობს: სამი სოციალისტური, ერთი ნაციონალისტური. ამათში რიცხვით პირველი ადგილი უჭირავს სოც. დემოკრატებს, მეორე კი საქ. სოც. ფედერალისტებს. მინდა ორი სიტყვით შევეხო ქართველ სოციალისტ-რევოლიუციონერებს. რადგან ცხოვრების და რევოლიუციის ჩარხის ტრიალმა რუსეთი და საქართველო ერთმანეთს ჩამოაშორა ისე ქართველი და რუსის სოც. რევოლიუციონერები გაეთიშნენ, ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. რადგან ამ პარტიას ჩვენში პირველ რევოლიუციის დღიდგანვე მრავალმა რუსის ჩინოსნებმა შეაფარა თავი, ვითომ სოც. რევოლიუციონრები იყვნენ. მავრამ როცა ცხოვრებამ ჭეშმარიტება მოითხოვა, და საქართველომ ეროვნული, საკუთარი სახე მიიღო, რუსის რევოლიუციონერ ჩინოსნებიც სწრაფად გაეთიშენ ქართველ სოც. რევოლიუციონრებს და ოპოსიციაში ჩაუდგნენ შოვინისტური სახით, როგორც ქართველ სოც. რევოლუციონერთ ისე საქართველოს დამოუკიდებლობას. და საოცარ ლანძღვა გინებასაც კი აწარმოებენ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. მათი სულის ჩამდგმელი გაზეთი ეგრედ წოდებული „ტრუდოვოე ზნამია“ ისე არ დაიბეჭდება რომ ერთი და ორი წერილი ქართველების წინააღმდეგ არ იყოს მოთავსებული. მაშასადამე ქართველი სოციალ. რევოლიუციონერები რა გზას უნდა დასდგომოდნენ? იმ გზას რა გზასაც დაადგნენ. მაგრამ იარსებებენ თუ არა დამოუკიდებლად საქართველოში ჩემი ღრმა რწმენით ვერა; ვერა რადგან ქართველ მშრომელ ხალხში არავითარ გავლენიან პარტიას არ წარმოადგენენ: მათ ვერ იცნობს ქართველი ხალხი. ხოლო მათი სულის ჩამდგმელი რუსის ჯარისკაცები კი საქართველოში აღარ მოიპოვებიან.

ასეა თუ ისე გვიან თუ ადრე უნდა დაგვიკავშირდნენ ჩვენ, საქ. სოც ფედერალისტებს რადგან პროგრამით ჩვენთან არიან ახლოს, მე ეს ასე მესმის.

ეხლა კი მიუბრუნდეთ ეროვნულ დემოკრატებს, ამ პარტიის სულის დგმა თითქმის ყველა მკითხველმა იცის. მათ პარტიაში მოკალთავებული არიან გაკოტრებულ თავადაზნაურობა და ვაჭრები. ეგრედ წოდებული ნაც. დემოკრატები ეყრდნობიან რა გარდამავალ წოდებას, აწარმოებენ თავის სასარგებლო პოლიტიკას, ერთი მუჭა ფეოდალების ბატონობისთვის; ხოლო რაც მოუხდება საერთოდ ქართველ მშრომელ დემოკრატიას ამას ისინი არ იღებენ და ხელსაც უშლიან. მაგრამ როცა კოკა გატყდება იქ აღარ დაიფარება, ღვინო იდგა შიგ თუ წყალი ასე დაემართ-დ ნაც. დემოკრატებსაც. მათი სულის კვეთება, მთავრობის დეკლარაციის შემდეგ გამოაშკარავდა 15—16 ივნისის ეროვნულ საბჭოს სხდომაზე, მიწის დეკრეტის შეცვლა ურცხვად მოითხოვეს ერთი მუჭა მემამულეების სასარგებლოდ. და რომ არაფერი გაუვიდათ, სხვა პარტიებს დაუწყეს კბენა. გვიკბინეს ჩვენც, სოც.-ფედერალისტებს. მათმა ერთმა მეთაურმა, რ. გაბაშვილმა ბნედიანივით მრავალჯერ ახსენა იოსებ გედევანიშვილის და სამსონ დადიანის ტრაპიზონის რაზმი. ვითომდა ცუდი რამე მოგვინახეს. რადგან ნაც- დემოკრმტები თვითონ თვალებზე ხელს იფარებენ სხვისი კარგი არ უნდათ რო დაინახონ. ასე ჰგონიათ ჭეშმარიტება სხვის თვალშიდაც დაიფარებაო. ამ რაზმმა სამშობლოს ნამდვილი სამსახური გაუწია ნამდვილი თავდადებული ბრძოლით, რასაც მოწმობს მრავალი თავდადებული გმირი, თვალ-საჩინო ამხანაგი რომელიც მსხვერპლად შეეწირა საქართველოს რ. გაბაშვილი და მისი სულის ჩამდგმელები ქართული კლუბის წინ ბულვარზე დასვეირნობდენ უდარდულად იმ დროს, როცა ი. გედევანიშვილის რაზმი აწყურის კიდეებში იღუპებოდენ, დღეს კიდევ სხვა მხრიდგან უდგია დამოუკიდებელ საქართველოს მტრებს წინ. მათთან იყო დადიანიც.

ასეთი გმირი ადამიანის ხსენების უფლებაც არ უნდა ჰქონდეს მუქთა ხორა გაბაშვილს, მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი და მომავალი ისტორია დააფასებს ნაციონალ დემოკრატების უქნარა მყვირალობასაც და საოციალისტ-ფედერალისტთა თავდადებულ მუშაობასაც, საქართველოს აღორძინებისთვის, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისთვის.

გვსევი ნავარძელი.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

(ქართლში შეკრებილი.)

მთიულო, მთაში გარდილო,
ხმალს როდის მოგიშვდება?
ომში შეხვალ და გამოხვალ
გული არ შეგიშინდება,
არ იცი უკან დახევა,
გული რო გაგიხურდება.

—

მტერო დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში
მაგრამ არ დამიკვნესია;
მაცალე ერთი გავმართო
ჩახმახით ცეცხლის კვესია,
სულ ერთად მოგამკევინო,
რაც ჩემზედ დაგითესნია.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

მირბახის მოკვლისათვის.

ბერლინი. ივლისის 12. რეიხსტაგის მთავარ კომიტეტში რეიხსკანცლერმა განაცხადა: მოსკოვის მკვლელობის გამოძიებიდან სჩანს, რომ ამ ვერაგობაში წილი უდევს სამთა შეთანხმებასო, სამთა შეთანხმებას სწადიან ხელი შეუწყოს ომის განახლებას გერმანიისა და რუსეთს შორის.

ბერლინი. ივლისის 12. გერმანიის ელჩის გრაფ მირბახის მოკვლის გამო კაიზერმა ვილჰელმა სამძიმრის დეპეშები მიიღო ავსტრიის იმპერატორისა და ბავარიის მეფისაგან.

გენერალი ჰინდენბურგი.

ბერლინი ივლისის 12. ფინლანდიის მმართველმა გენერალ-ფელდმარშალ ჰინდენბურგს უბოძა დიდი ჯვარი, ეგრეთ წოდებული „ჯვარი ფინლანდიის თავისუფლებისა“, გენერალ-ფელდმარშალმა თავის საპასუხო-სამადლობელო დეპეშაში აღნიშნა, მოპოებული თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მეგობრობა გერმანიასთან ფინლანდიის აყვავებას ხელს შეუწყობსო.

ბოლშევიკების მთავრობა.

მოსკოვი. ივლისის 12. რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობაზე ორი მესამედის უმრავლესობამ მოიწონა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა. ამასთანავე საბჭოთა კონგრესმა პროტესტი განაცხადა გერმანიასთან ომის განახლების წინააღმდეგ.

ალექსის გარდაცვალება.

სტოკჰოლმი. ივლისის 12. ხმებია ყოფილი მეფე ნიკოლოზ მეორე ცოცხალია, ხოლო მისი შვილი ალექსი გარდაიცვალაო.

კიულმანის გადადგომა.

ბერლინი. ივლისის 11. სტატს-სეკრეტარი კიულმანი გადადგა. მის ადგილას დაინიშნა ქრისტიანიაში ელჩად ნამყოფი გინტცე.

უუმბარების სროლა.

ჰაგა. ივლისის 12. გარეშე საქმეთა სამინისტრო ჰოლანდიისა იტყობინება, რომ ივლისის 11-ს შუადღისას უდერ-შაისთან, სლუისის პროვინციაში, კიდევ ორი უუმბარა ჩამოაგდეს. გამოირკვა, რომ ესენი ინგლისელებისაა.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ტუაფსეს მიმართულებით

საქართველოს რესპუბლიკის რაზმი გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით ტუაფსეს მიმართულებით წინ მიიწევს. რაზმი უკვე უახლოვდება ქალ. ტუაფსეს. ივლისის 11-ს რაზმი ლაზარევსკაიას იყო (ტუაფსეს 40 ვერსით არის დაშორებული).

მაზნიაშვილის რაზმი შიშის ზარსა სცემს თავ-დაბნეულ ბრბოებს. ტუაფსეში უკვე გასცეს მოწოდება: საქართველოს ძლიერი ჯარი ჩვენსკენ მოიჭრება და ვერავითარი ძალა მას ვერ შეაჩერებსო: დასწვით, გაანადგურეთ ყველაფერი და თავს უშველო.

რუსთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. თ. ლებედევი და საბჭოს გამგეობის წევრი მაიროვი საქართველოს სამხედრო გზაზე იყვნენ წასული მცხეთაში მყოფ ლტოლვილთა რუსეთში გასაგზავნად. სად. ფასანაურამდე მივიდნენ, სადგურის იქით გაუშვეს მხოლოდ ერთი მათგანი; იგი მლეთის მახლობლად გენ. კონიაშვილს წარუდგა. გან. კონიაშვილმა განუცხადა სად. ყაზბეგის დაპყრობამდე ვერავის გაუშვებს. რწმუნებულების მლეთთან ყოფნის დროს ბრძოლა სწარმოებდა.

ამ დღეებში სად. ყაზბეგი ადებული იქმნება. სად. ფასანაურზე დაიხურა სომეხ ლტოლვილთა გამომკვები პუნქტი.

—

ჩვენი რაზმი კობს გასცილდა და წინ მიიწევს. ივლისის 13 იგი 13 ვერსით იყო დაშორებული ყაზბეგს.

სიცრუე ჯუღელის მოკვლის შესახ.

საქართველოს მტრები ათას გვარ ხმებს ავრცელებენ, [illegible] ზარი დასცენ [illegible] მცხოვრებთ, რომ ქართულ მთავრობას ნდობა დაუკარგონ, ამ მიზნით შესთხზეს ამბაები სახალხო გვარდიის უფროსის ვ. ჯუღელის მოკვლის შესახებ. რასაკვირველია ეს ხმა მტკნარი სიცრუეა.

—

ოსმალეთის შემოტევა სომხების წინააღმდეგ.

უკანასკნელ ცნობებით ოსმალეთმა შემოუტია სომხეთის რესპუბლიკას. ამის გამო სომხების ეროვნულმა საბჭომ საზავო დელეგაციას სტამბოლში გაუგზავნა დეპეშა, რომ შეტევა, შეაჩერებინონ.

დარიალის ხეობაში ჩვენი რაზმები ძლევა-მოსილად წინ მიიწევენ მიაღწიეს ყაზბეგს. ბრბოები თავბრუ დახვეულნი გარბიან. ბევრი ტყვეთ ჩაუვარდა ჩვენ ჯარს სხვათა შორის ტყვედ მოჰყვნენ ს. გეგეჭკორის რაზმი, ლეჩხუმელების და სვანებისგან შემდგარი.

ამ დღეებში მთელი დარიალის ხეობა გაიწმინდება ბრბოთა თარეშისაგან ადგილობრივი მცხოვრებნი, ბოლშევიკი ბრბოებით შეწუხებულნი, აღტაცებით ჰხვდებიან ჩვენს რაზმელებს. განსაკუთრებითი ვაჟკაცობას და გმირობას იჩენს ჩვენი პარტიზანული პოლკი, ი. გედევანიშვილის მეთაურობით.

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ

რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა, რომელმაც დასცა მონარქიის ხავს მოკიდებული ბუდე, დამარცხდა სწორედ, იმ დროს, როდესაც უნდა გაჭრილიყო უზენაესი საკითხი რევოლიუციონურ დემოკრატიისა.. ყველა ერის მუშები, ბედით თითქოს ერთნაირი ვართ, ვრთის სენით ავადმყოფნი, ერთის უბედურებით სნეულნი... კერენსკის დღეები, მისი საზეიმო მსვლელობა, სოციალისტურ ნებით იქნა ამოწურული — მაგრამ ჩვენ მუშების სისხლით მონაპოვებ უფლებებს ერთი ისეთი თვისება აქვს, რომ, ვინც კი ერთხელ იმ ემბაზში ეპეურება მაშინვე გვტოვებს, მაშინვე გვლალატობს და დემოკრატია ყოველთვის რჩება თავის თავზე დაყრდნობილი.

შესდგა თუ არა კერენსკის უდღეური კამარილა ჩვენგან შევმნილ დიდების ტახტზე, ჩვენ რომელთაც იგი შარავანდედით შევმოსეთ, აღარ ვლირდით თუნდაც იმ კოცნად რომელიც ფუნთუშა თეთრ ელებს ვერა ფიგნერისას ისე სიამაყით უძტვნა გვირგვინ შემხმარმა პულურიკოსმა... ბოლშევიკები წინააღმდეგობაა — და პოლიერიკაში წინააღმდეგობაა როგორც შინაარსი მეტად საყურადღებო და ანგარიშგასაწევია... სკობელევის უმსგავსმა დეკრეტმა ტფილისის ის საბჭოს კი გააწითლა. ჭალარა ჟორდანია შერცხვა მოწაფით!.. ჩვენში კრიტიკა ბევრს ლანძღვა გონია მაგრამ „თუ მტერი არ ყავს მიწის შვილს როგორ-ღა გაგულადდება? მე ვხედავდი მაშინ წყალტუბოში წამებულ კიტა აბაშიძეს, მან სთქვა: კერენსწი რევოლიუციის ბავშია და ვაი თუ მისმა ახალგაზრდობამ რევოლიუცია დაღუპოსო!.. ნელის ნაბიჯით დაიხიეს ამიერკავკასიის სეიმისაკენ — ბუნებრივობა მეტად საჭიროა პოლიტიკისთვის. სეიმის დაბადება სისხლით დაიწერა... უდღეური და უნდილი იყო ნეტარ ხსენებული სეიმი ეროვიულ საბჭოს ბრწყინვალე დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ბევრი მტრებით შეეყარა.

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

სახალხო რაზმის მთავარი შტაბი

კობიდან დეპეშით იტყობინება ივლისის 13. „გუშინ ივლისის 12 ბრძოლის შემდეგ დავიჭირეთ გუდაური გავფანტეთ ბრბოები და ზარბაზნები წამოვიღეთ. თითქმის უბრძოლველად დაჭერილია „ჯვარის გადასავალი“. 2 კაცი დაგვიჭრეს. დღეს ივლისის 13 დილის 3 საათზე. პოლკ. გედევანიშვილის პარტიზანული რაზმი, როტმისტრი ჩახავას ესკადრონით კობში შევიდნენ. ოსები თრუსოს ხეობაში გაიქცნენ და ჩვენ მზვერავებს სროლა დაუწყეს. ეხლა იმათგან სამშვიდობო დელეგაცია მოვიდა. სოფლები სულ ცარიელია: მცხოვრებლები ბოლშევიკებისგან შეშინებულნი არიან.

თურმე ბევრს სურდა ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენი მონობა! პირში ნაცადმა მუშა ხალხმა ეს უნდა დაიხსომოს... დავრდომილი არჩილ ჯორჯაძე, ტანჯული ერის შვილი იყო, და კარგად იცოდა ქართველ მუშას საქართველოში სიკვდილი რომ უფრო ეთბილება...

ჩვენი პარტია გუთნის პარტიაა! ჩვენი ქვეყანა ჩვენი გლეხობის სამშობლოცაა და საფლავიცა! ჩვენ აქ ვიბადებით, აქვე უნდა ვიცოცხლოთ და დავიხოცნეთ. სოფლის მუშაა ღვიძლი, განუყრელი ძმაა ქალაქის მუშის. ჩვენ საკვეთლებს და ცალებს თან ვაბარებთ მათთან ჩვენს გულის საიდუმლოს!.. მიწა გლეხს! ჩვენ ვსთქვით ყველაზე წინედ, ყველაზედ პირველად, მაშინ როცა გლეხებს „მიწა ჰამიებს" უძახოდნენ! დღესაც ჩვენმა პარტიამ უნდა იერიში განაახლოს. ჩვენმა ამხანაგებმა უნდა გადაჭრით სთქვან, და გაბედულად მოითხოვონ: **მიწა მიწის მუშას!**

ჩვენ ეროვნულ დემოკრატები არა ვართ, ჩვენს დროშას ინტერნაციონალური სოციალიზმის წითელი ფერი აქვს! ყიდვა გაყიდვის პოლიტიკა ძირიანად ამოგლეჯს სოციალიზმის ნასახსაც კი ყური დაუგდეთ მღელვარე გლეხობას! ჩვენი კითხვა სადაა, მარტივი... გლეხები უმიწოდ იღუპებიან, გლეხებს შრომა უნდათ, მიწა!.. მათის ოფლით მოირწყვება სამშობლო, მოღონიერდება ერი და ლატაკს მამულს ისევ მშრომელი მარჯვენა იხსნის საშინელ ბრჭყალებიდან! ხოლო, მიზანშეწონილი, პოლიტიკა—აი როგორ უნდა იმოქმედოს ყველა დემოკრატმა და მით უმეტეს სოციალისტებმა! სამშობლოს, რომელსაც წყლული წუხებს, რომელსაც სხეულის ნაწილი სტკივა, წამალიც სწორედ უნდა ექმნეს მოცხებული. მიწა მიწის მუშას—ისტორიული მოწოდებაა ჩვენი და ეს ნაბიჯი, ეს მკურნალობა, ჩვენ უნდა ვიკისროთ, როგორც სოციალისტ-ფედერალისტებმა.

ალ. იოსელიანი.

ჩვენი მოვალეობა.

მუდამ რევოლიუციის დროს, ყველა ქვეყნებში, რევოლიუციის დამცველი და პირველ რიგში მდგომი ყოფილან მუშები. მუშები ყოველთვის გამოდიოდნენ იარაღით ხელში რევოლიუციის დასაცავად, თუ რევოლიუციას რაიმე საფრთხე მოელოდა. რუსეთში რევოლიუციის პირველ დღეებში გამოვიდა დარაზმული ჯარის კაცები იგივე მუშები დესპოტიურ რეჟიმის დასამხობად და რევოლიუციის დასაცავად. რევოლიუციის პირველ დღეებში ხალხს ეტყობოდა აღრფთოვანება, რაღაცა სასწაულს ელოდნენ. ფიქრობდნენ. რომ მოკლე ხანში მთავრობა განახორციელებს ჩვენს მისწრაფებასაო, მაგრამ მუშები მოტყუებულნი გამოდგნენ რუსეთის რევოლიუციას ხელი შეუშალა მსოფლიო ომმა. ესეც უნდა ითქვას რომ მსოფლიო ომმა მოაპოებინა რუსეთს რევოლიუცია. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ადრე იყო რევოლიუციის მოხდენა რუსეთში, რადგანაც რუსეთის მშრომელი მასის უმეტესობა მოუმზადებელი გამოდგა. რევოლიუციისათვის კი საჭირო იყო დარაზმვა, გაწვრთვნა ხალხისა და როცა მშრომელი მასსა მომზადებული იქნებოდა, მაშინ მოეხდინათ რევოლიუცია და დაეცათ მოსისხლე მთავრობა მაგრამ მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო რუსეთის მშრომელ მასას და ჩაუგდო ხელში ისეთი კარგი დრო, რომ ამისთანა კარგ დროს ძნელად ეღირსებოდა. შეიძლებოდა რევოლიუციის გადარჩენა რომ დროებით ეწარმოებინათ გარეშე მტერთან თავდაცვის საქმე, და მტერიც იძულებული იქნებოდა ანგარიში გაეწია და ზავი შეეკრა უფრო კარგ პირობებში, მაგრამ მშრომელ ხალხის მოუმზადებლობამ და ოქტომბრის მეორე რევოლიუციამ ბოლშევიკების გამოსვლამ ხელი შეუშალა ომით მოქანცული ხალხი სახლისკენ გაეშურა და რევოლიუცია ღვთის ანაბარად იქმნა დატოვებული. საჭირო იყო შექმნა ისეთი მთავრობის, რომელშიც შევიდოდნენ ყველა სოციალისტებ ის წარმომადგენლები, დროებით უნდა დაევიწყათ პარტიული გამოსვლა და ჟინიანობა. შეედგინათ სახალხო ჯარი მტრის დასახვედრად, აი ეს იყო ერთად ერთი გზა რუსეთის რევოლიუციის ხსნისა. მაგრამ ეს არ მოხერხდა და რუსეთი დაიშალა. თითქმის ესეთივე სურათი გვქონდა საქართველოში ცოტა გამონაკლისით. რუსეთის რევოლიუციის და სამშობლოს დამღუპველნი იყვნენ ბოლშევიკები, და საქართველოში კი ეროვნულ დემოკრატები. იგინი იმას ანგარიშს არ უწევენ, რომ საქართველო დაღუპვის კარს ადგია. აჩაღებენ კლასიურ ბრძოლას კი იმით ასუსტებენ საქართველოს ისედაც დასუსტებულს გარეშე მტრებისაგან.

ნაციონალ-დემოკრატებს სწადიათ რომ საქართველოს დემოკრატიას სახელი გაუტეხონ. ამბობენ ნაციონალ-დემოკრატები, დაივიწყეთ თქვენ სოციალისტებთ თქვენი ზღაპარი; მიწები უკან ჩაგვაბარეთ, გააუქმეთ მუშათა ორგანიზაციები და ჩვენ შევქმნით ძლიერ ბურჟუაზიულ საქართველოსო. მაგრამ ბ. ბ. ნაციონალ-დემოკრატებმა არ იციან რომ ამით ისინი შექმნიან არა ძლიერ საქართველოს არამედ უღელ დადებულ საქართველოს.

საჭიროა ყველა ქართული სოციალისტური პარტიები ერთად შეთანხმდნენ, და დაიცვან საქართველო და რევოლიუცია. ეხლა ჩვენი ქართველი დემოკრატიის მოვალეობაა შექმნა ძლიერი ჯარის და ხალხოსნურ გვარდიისა. ძლიერი ჯარი ჩვენთვის საჭიროა გარეშე მტრებისაგან დასაცავათ ხალხოსნურ გვარდიის მოვალეობაა დაცვა შინაურ მტრებისაგან. ხალხოსნური გვარდია ყოფილა მუდამ რევოლიუციის ავანგარდი, და აქ საქართველოში ჩვენ იმიტომ გვჭირია ხალხოსნური გვარდია რომ მან დაიცვას ნორჩი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩვენი სათაყვანებელი წმინდა საქართველოს რევოლიუცია და უკანასკნელად მოუწოდებ ქართველ დემოკრატიას შეხვდეს შეგნებულად ამ მოვლენას და დაიცვას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საქართველო და რევოლიუცია გარეშე და შინაურ მტრებისაგან.

გაუმარჯოს საქართველოს!..
გაუმარჯოს ჩვენს მოვალეობას!..
გაუმარჯოს სოციალიზმს!..

ნიკო მაისურაძე.

აჯანყებულების გარშემო.

დუშეთის მაზრაში გამოცხადებულია საალყო წესები. ყოველგვარი წინააღმდეგობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიმართ ჩაქრობილ იქნება იარაღით. აკრძალულია იარაღის ტარება. მცხოვრებლებს ნაბრძანები აქვთ ყოველგვარი იარაღი კომისარიატს ჩააბარონ, ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება, დასჯილ იქნება სამხედრო-საველე სასამართლოს ძალით. ბრძანებას ხელს აწერენ მეციხოვნე ჯარის უმფროსი და დუშეთის კომენდანტი პორ. გრიგოლია და წივწივაძე.

—

სოჭი აიღეს სახალხო გვარდიამ და საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა.

ფ ა ს ა ნ ა უ რ ი

ფასანაურის აღების შესახებ სახალხო გვარდიის შტაბის მიერ დამატებითი მიღებული ცნობებით ჩვენი ჯარისთვის იქ დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. მოწინააღმდეგის მხრით მოკლულია 60 კაცი ბევრი წამოუყვანია ჩვენს ჯარს ტყვეთ. ჩვენის მხრით დაჭრილია 15, რომელთაგან მძიმეთ დაჭრილი არც ერთი არ არის.

რუსეთი.

უკანასკნელ ცნობებით, მოსკოვში დიდი არეულობაა. არეულობა დაიწყო გერმანელ ელჩის მირბახის მოკვლის შემდეგ. მუშებში ძლიერდება უკმაყოფილება ბოლშევიკურ მთავრობის მიმართ.

სამხრეთ რუსეთში ბოლშევიკებმა მოჰკლეს სოც.-დემ. მუშა ივანე ტულიაკოვი, ცნობილი რევოლიუციონერი და მებრძოლი. იგი მეოთხე სათათბიროში იყო სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მიერ წარმომადგენლად არჩეული.

„მშაკის" რედაქტორის მოკვლა

ტფილისში მოჰკლეს სომხურ გაზეთ „მშაკის" რედაქტორი ა. არაქელიანი. იგი მოჰკლეს თავის საკუთარ კაბინეთში. მკვლელებმა ფანჯრიდან გადახტნენ და მიიმალნენ. არაქელიანი მოხუცი იყო. იგი ცნობილი იყო სომხებში როგორც განათლებული მწერალი. და სომხის ერისთვის თავდადებული მოღვაწე.

სოფლად.

ქიზიყიდან ჩამოსულმა ამხანაგმა გადმოგვცა, რომ იქ საუცხოვო მოსავალი ყოფილა. ალაზნის გაღმა ქერები და პური უკვე მოიმკო. მომკეს შირაქშიცო. ქიზიყში პური ბევრი დაუთესიათ, რადგან თამბაქოს მაგიერ პური დაუთესნებიათ. ამგვარი დიდი და კარგი მოსავალი ქიზიყს არ ახსოვსო. მაგრამ სადაც ლხინია და სუფრა, იქვე გაჩნდებიან ხოლმე მუცელა და მუქთა ხორა ხალხი. ასე დაემართა ქიზიყსაც. მოაწყდა აუარებელი სომხის ჩარჩ-ვაჭრები, პურის საყიდლად, რომ შემდეგ გადამალონ და ერთი ასად აიღონ ჩვენი კისრიდან. ამიტომ მაზრის თავდაცვის კომიტეტს აუკრძალავს პურის გამოტანა მაზრიდან. ყველა ადგილობრივ კოოპერატივებს კი ევალებათ თვალ ყური ადევნონ სპეკულიანტებს. ნასყიდი პური ჩამოართვან და სხ.. რომ ასე შეებრძოლონ სოფლის წურბელებს.

რაჭაში

აქ მოსავალს მეტად კარგი პირი უჩანს. თითქოს განგება ხელს უწყობს—რომ დაშეულ ხალხს განვლილი ტანჯვა, აუნაზღაუროსო. ამინდებიც საუცხოვოა. ნათესი კი ასე ბევრი რაჭას არ ახსოვს. სადაც კი შეიძლებოდა დათესვა, ყველგან ყანები ბიბინებენ რაც შეეხება სიმინდს, მის ავ-კარგიანობაზე საუბარი ნაადრევია, რადგან იგი ახლად არის ნათესი და შეფასება შეუძლებელია. ვენახსაც კარგად ასხია. სურსათის საკითხი ახალ პურამდე მეტად ცუდ მდგომარეობაში. სიმინდი ოსებს გადმოაქვთ ჩრდილო კავკასიიდან და კოდს 150 მან. ჰყიდიან. ქართულ ფულს კი არ იღებენ და მცხოვრებნიც იძულებულნი არიან რუსული ფული იშოვნონ და სანოგავე იყიდონ. რაც შეეხება მთავრობის საკითხს, რაჭაში ჯერაც არ იციან გვყავს მთავრობა თუ არა, და თუგვყავს, ვინ არიან. არც არა პარტიების სჯერათ. მათ ვერაფერი გაგვიკეთეს, გაჭირვებიდან ვერ გამოგვიყვანეს, მხოლოდ დაგვითათბირეს და ჩვენ კი უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავცვივდითო.

მიწის „მოწესრიგებას" გლეხები ცუდი თვალით უცქერიან, რადგან ეს არაფერი მოწესრიგებაა. მდგომარეობა მით არც კი იცვლება. ჩამორთმეულია რაღაც 30 დეს. მიწა, დაახლოვებით ერთი ამდენიც არის ჩამოსართმევი. ეს არის და ეს. 60 დესიატინა მიწის ჩამორთმევა კი რა საკვირველია ახალ ცხოვრებას ვერ შეიქმს.. რაც შეეხება ადგილობრივ მთავრობას, ე. ი. კომისრებს, მათი მოქმედებით ხალხი მეტად უკმაყოფილოა.

როგორ დადუღდება რაჭის ცხოვრება—ამის თქმა ძნელია ხალხი ელის მთავრობის მტკიცე ხელს და დაინახავს თუ არა, ვნახავთ. მთავრობა მოვალეა რაჭასაც მიხედოს.

სხვა და სხვა ამბები

სომხების ეროვნული საბჭო.

კვირას, 14 ივლისს ერევანში მიემგზავრება სომხების ეროვნული საბჭო, მთელი თავისი შემადგენლობით. საბჭოსთან ერთად მიდის მთავრობაც. ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელი ჯაფაროვი შეჰპირდა სომხებს, რომ თათრების მიწა-წყალზე დაუბრკოლებლივ და უხიფათოდ გადაგატარებთო.

ტფილისში შესდგება სომხების საბჭო, რომელიც დაიცავს საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ინტერესებს. ამ საბჭოს ექნება ხასიათი მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელი და არა პოლიტიკური.

სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოში იქნება ა. ევანგულოვი.

რუსთა ეროვნულ საბჭოში.

რუსთა ეროვნულ საბჭომ გაგზავნა თავისი ორი წარმომდგენელი შუმახერი და ზოლნიკოვი სთფ. ვორონცოვკაში, ლორის ველზე მცხოვრებ რუსთა ყრილობაზე და სასწრებლად და ადგილობრივ მმართველობის მოსაწყობქდ.

ადერბეიჯანში.

ადერბეიჯნის მთავრობამ სიკვდილი მიუსაჯა ჰუმეტისტებს (სოციალისტები) სანიევს და ალიევს, რომელთაც ჰბრალდებით პროკლამაციების გავრცელება, სადაც ყაზახის მაზრის მცხოვრებთ მოუწოდებდნენ საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთებისაკენ.

—

ადერბეიჯანის (თათრების) მთავრობამ უარი სთქვა იმ ქაღალდის ფულის (ბონების) პასუხისმგებლობაზე, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატმა და მთავრობამ გამოუშვეს. ძალიან ამ ქაღალდის ფულის (ბონებს) იქ, თათრებში ფასი დაეკარგება. საქართველოს მთავრობა ზომებს იღებს, რომ ის ადერბეიჯნის ფას-დაკარგული ქაღალდის ფული საქართველოში არ შემოაპარონ. აქ, ჩვენში ხმარებულ ფულზე კი ჰასუხს ჩვენი, ქართული მთავრობა აგებს. მალე საკუთარი ქართული ფული გამოიცემა.

—

რუსულ ჰიმნისთვის „ღმერთო იცავ მეფე"—დაიჭირეს შავრაზმელი რუსი აფიცრები ბრეჟკოვი და პავლოვი.

—

საქართველოს რესპუბლიკის ავად მოხსენებისათვის შეიპყრეს რუსის აფიცრები ბესარაბოვი და ბაიანი.

—

ხაშურში ხორველა გაჩენილა.

—

თელავში შესვლა აკრძალულია

რადგან თელავი აივსო მოაგარაკეებით და ლტოლვილებით, საკვები და ბინა კი ქალაქს საკმაოდ არა აქვს, უბედურობის თავიდან ასაცილებლად ქალაქის თვითმართველობამ აკრძალა თელავში შესვლა. მინც ამ განკარგულებას არ დაემორჩილება და მაინც წავა თელავში, მათ სადგ. თელავზე შეაჩერებენ და უკან გამოაბრუნებენ.

—

მოსავალი

როგორც შეკრეპილ ცნობებიდან სჩანს, წელს იმდენი მოსავალი იქნება საქართველოში, რომ პურის სხვა ქვეყნებიდან შემოტანა არც კი დაგვჭირდება,

—

საქართველოს გარედ.

მოსკოვში დიდი აჯაშყებაა. მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერებმა გაილაშქრეს ბოლშევიკების წინააღმდეგ. იყო სისხლის ღვრა. მსხვერპლის რაოდენობა გამოურკვეველია. დაწვრილებითი ცნობები და შედეგები არა გვაქს.

—

თერგის ოლქში.

თერგის ოლქში ივნისის ბოლოს აჯანყებამ იჩინა თავი. ყაზახები აუმხედრდნენ ბოლშევიკურ მთავრობას. ყაზახებმა დაიჭირეს კისლოვოდსკი, პიატიგორსკი, ესენტუკი და სხვა ადგილები. აჯანყებულებს მეთაურობს შკური.

კავკაში ამ დროს დიდი განგაში ატეხილა. ბოლშევიკებმა აღარ იცოდნენ თურმე, რა ექნათ, როგორ გადაერჩინათ თავი.

—

პარიზში გახარებულნი არიან მირბახის მოკვლით. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მკვლელობა საბაბი ნქნება, რომ გერმანელები მოსკოვში შეიჭრნენ.

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, ჟურნალის, სადარბაზო ბარათების, ბლანკების, [illegible]
ნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სწრაფად და თავის დროზე
კანტორა მოთავსებულია ბარონის ქუჩა № 14 ტელეფ. 17—96